ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბრძანებები
რესპუბლიკის მთავრობისა

სამხედრო უწყების მიმართ.

18 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 153

სამხედრო სასამართლოს თავმჯდომარემ პიტაკით № 1231 ამა წლის 23 მაისიდან მაცნობა, რომ სამხედრო მსაჯულნი კოლეჟსკი სოვეტნიკი დავიდოვიჩი და პრაპორშჩიკი წივწივაძე და მდივნები თაყაიშვილი და ნოზაძე სამხედრო სესიის შემადგენლობაში გაგზავნილი იყვნენ სოხუმის ფრონტზე და ქალ. ქუთაისში 16 მარტიდან 2 მამსამდე.

ცნობა: სამხედრო სასამართლოს პიტაკი № 1231.

14 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 154

§ 1

ჯარის განზრახული რეორგანიზაციის გამო ვბრძანებ მე-2 ცხენოსანი რაზმი მისი სრულის შემადგენლობით ეხლავე შეერთებულ იქმნას 1-ლ ცხენოსან რაზმთან. ქონება და იარაღი გადაეცეს სამხედრო სამინისტროს შესაფერ განყოფილებებს.

§ 2

ცხენოსან ბრიგადის შტაბი დაშლილ იქმნას და ოფიცრები, რომლებიც თანამდებობაზე არ დაინიშნებიან, საზოგადო საფუძველით შტატ გარეშე იქმნენ დატოვებულნი.

შტაბის ჯარის-კაცნი გადაყვანილ იქმნენ 1.ლ ცხენოსან რაზმში, შტაბის ქონება და იარაღი კი გადაეცეს სამხედრო სამინისტროს შესაფერ განყოფილებებს.

§ 3

ოსებში სრულის სიმშვიდის ჩამოვარდნის გამო ვუბრძანებ ცხინვალის სპის უფროსს, გენერალ ყარალაშვილს, სპის ნაწილები გაგზავნოს თავის ბინებზე, და ამასთანავე სპის შტაბი გაუქმებულ იქმნას.

§ 4

ცხენოსანი რაზმი უშუამავლოთ ემორჩილებოდეს სამხედრო მინისტრის თანაშემწეს, და სამთო ცხენოსანის არტილერიის ბატარეია უშუამავლოთ ემორჩილებოდეს საარტილერიო სექციის უფროსს.

17 ივლისი 1919 წ. ქ. ტფილისი.

№ 155

მთავრობის რწმუნებულმა დამფუძნებელი კრების წევრმა ლ. ა. ჟღენტმა გამომიგზავნა ფოთის სასურსათო მაღაზიის რევიზიის ანგარიში, დართული მომართვასთან 9 ივლისითგან ამ წლისა № 24.

ამ ანგარიშითგან დავინახე დიდი ცარცვა-გლეჯა, რომელიც ხდება მოსამსახურეთა მხრით აღნიშნულს სასურსათო მაღაზიაში. ცარცვა-გლეჯის კვალის დასამალავად, როგორც ჩანს, განძრახ მაღაზიაში ანგარიში უმართებულოდ უწარმოებიათ და რევიზიის დროს აწეწილი აღმოჩნდა. პროდუქტების შემოსავალ-გასავლის ძველ დავთრები 1917 და 1918 წლებისა აქამდე არ არიან გაგზავნილნი კონტროლში სარევიზიოდ. შემდეგის წლისათვის გადატანილი პროდუქტების ნაშთი არავისგან არის მემოწმებული და ხელმოწერილი.

შემოსავალ-გასავალი თვის დროზე არ ყოფილა შეტანილი და ყველგან არ არის მაღაზიის ზედამხედველების ხელმონაწერი მიღებულსა და გაცემულს პროდუქტებზე. ზოგიერთი ციფრები ან გახაზულია და წაშლილი ან ამოფხეკილი და გასწორებული ჯეროვანის შენიშვნის გაუკეთებლად. პროდუქტების შემოსავალ-გასავლის დავთართან ზედამხედველის აროშიძის მაღაზიის გამგებლობის ხანში, 11 მაისითგან 1918 წ. 1 ივნისამდე ამ წლისა, საქმეებში არ აღმოჩნდა 12 საბუთი. საკვიტანციო წიგნები დაუდევრათ არიან ნაწარმოებნი, არა აქვთ შევსებული ძირები და ხანდახან ფურცლები აქვთ ამოგლეჯილი. საზოგადოთ არა ჩანს მუშაობა მაღაზიის ზედამხედველის მოხელე მაჭუტაძისა, რომელიც განაგებს მაღაზიის საქმის წარმოებას. ზოგიერთს ჩეკის მოთხოვნებზე არ არის მიმღებლების ხელმონაწერი პროდუქტების მიღებაზე, ზოგიერთებზე არ არის დასმული ნაწილების ბეჭედი; ხანდახან პროდუქტები გაცემულია ბარათებით; არ არის 255 ფუთი კომბოსტოს სოხუმში მიმღებელის კვიტანცია. დიდძალი პროდუქტია გაცემული სასყიდლით კერძო პირებზე; ხოლო ზოგიერთს ჯარის ნაწილებზე კაცთა რიცხვთან შეუზომელი დიდი რაოდენობა, როგორც მაგალითად 1-ლ ცალკე ცხენოსან ასეულზე, რომლის შემადგენლობაა არა უმეტეს 120 კაცისა, გაცემული ყოფილა ერთგზობით 60 ფუთი შაქარი, რაიცა უნდა ჰყოფნოდა 6-7 თვეს. პროდუქტები დაუდევრათ ყოფილა შენახული. იატაკზეა დაყრილი, მუშები ზედ დაიარებიან და იღუპება.

რომ ანგარიშის წირმოება განგებ ყოფილა მიტოვებული, ამას ამტკიცებს რევიზიის მიერ აღნიშნული შემდეგი სამსახურებრივის ავადგამოყენების ფაქტები, რომელნიც ჩაუდენიათ მაღაზიების ზედამხედველთ და მათ თანაშემწეთ ანგარების მიზნებით:

1) ფული, რომელიც ყოფილა მიღებული გაცემულის პროდუქტებისთვის ფოთის სამხედრო პორტითგან, რუსთა ეროვნულის საბჭოსაგან და გენერალ რასტორგუევისგან, არ არის შეტანილი შემოსავალში და დაუტოვებია თავისთვის ზედამხედველს აროშიძეს.

2) იმავე ზედამხედველის დროს მაღაწიას თავისით მიუწერია ფოთის საპოზიციო ბატერიის ჩეკის მოთხოვნის უკანა გვერდზე 50 ფუთი ზედმეტი შაქარი, რაიცა ბატერიას სულაც არ მისცემია.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

3) მაღაზიის ჩაბარების დღისთვის, 10 ოქტომბერს 1918 წლისა, მაღაზიის ძველს ზედამხედველს აროშიძეს გამოუყვანია გასავალში,—შენიშვით: „გამორიცხულია, ხოლო არ არის გამოწერილი გასავალში ოქმებით №№ 678 და 129“—ჩაი 2 ფუთი და 8 გირ., შაქარი—67 ფუთი და 16 გირ., კონსერვები—504 კერძი და თევზი 1 ფუთი და 20 გირ., რაიცა გატაცებული აღმოჩნდა.

4) იმავე აროშიძის, მის თანაშემწის მახარაძის და მეკანტორის ჯიქიას დროს უფროსთა გაუგებინებლად და რკინის გზის ან გარნიზონის წარმომადგენელთა მოუწვეველად, შეუდგენიათ ოქმი 60 ფუთი შაქრის, 47 ფუთი შვრიის, 27 ფუთი კომპოსტის დაკლებაზე, ხოლო გამომძიებელის თანაშემწის მაჭუტაძის, ვახტერის კანდელაკის და იმავე მეკანტორის ჯიქიას დროს—მეორე ოქმი, 62 ფუთი შვრიის დაკლებაზე, ამასთან ოქმებ ხელმოწერილია მხოლოდ აღნიშნულის მოსამსახურეების მიერ.

5) მაღაზიის ჩაბარების დროს: ა) აროშიძეს ჩაუბარებია დარჩიასთვის მარილი 4867 ფუთით და 14 გირ. იმაზე ნაკლები, რაც უნდა ჩაებარებინა დავთრებით, ხოლო შაქარი ჩაუბარებია 191 ფუთით და 25 გირ. ნაკლები იმის მიუხედავად, რომ უმისოდაც შაქრის გასავალი ყალბად ყოფილა ნაჩვენები დავთრებით 217 ფუთით და ათი გირვანქით მეტი ნამდვილს გასავალზე; ბ) დარჩიას კი დავთრებით უნდა ჩაებარებინა ახალის ზედამხედველის პოდპორუჩიკის ეფრემიძისთვის 792 ფუთით და 37 გირვანქით იმაზე მეტი, რაც ნამდვილად ჩაბარა და გ) პოდპორუჩიკ ეფრემიძის დროს რევიზიამ აღმოაჩინა შაქრის დანაკლისი 1892 ფუთის და 2 გირვანქის რაოდენობისა.

6) ზედამხედველების აროშიძის და ეფრემიძის და მათ თანაშემწის მაჭუტაძის დროს ყოფილა სამი შემთხვევა დიდის ჯამის პროდუქტების მიღებისა—325 ფუთი შაქრისა, 100 ფუთი ზეთისა, 15 ფუთი ფქვილისა, 4 ფუთი საპნისა, ვითომ მათთვის უცნობის მიმღებლების მიერ ყალბის ჩეკის მოთხოვნებით. ერთი ასეთი ავადგამოყენება აღმოჩენილ იქნა კონტროლიორის სალაძის მიერ და გამოამჟღავნა, რომ 10 ფუთი შაქარი მიუღია ვითომ სადარაჯო ჯარის შავი ზღვის რაზმისთვის ამ რაზმის სამუდამო მიმღებელს პოდპორუჩიკს ლომიძეს აღნიშნულის რაზმის ყალბის ჩეკის მოთხოვნით, რაიცა სცოდნია მაღაზიის ზედამხედველს პოდპორუჩიკ ეფრემიძეს.

7) რევიზორის ბენიაშვილის მიერ 1 იანვრითგან 1 ივნისამდე ამ წლისა აღმოჩენილია მსხვილი დანაკლისი თითქმის ყველა პროდუქტებისა მაღაზიაში ზედამხედველის პოდპორუჩიკის ეფრემიძის დროს, სახელდობრ: შაქარი 907 ფუთი და $19^1/_2$ გირ., ზეთი 14 ფუთი და $1^1/_2$ გირ., ღორის ქონი 7 ფუთი და 3 გირ., ჩაი 5 ფუთი და $6^1/_2$ გირ., საპონი 35 ფუთი და $36^1/_2$ გირ., ხილის წაწური 67 ფუთი და 22 გირ., სიმინდი 701 ფუთი და 11 გ., ცარიელი პარკი 358, ბრეზენტი 14 და სხვა.

მაღაზიის მოსამსახურეთა ჩვენებით ქონების სისტემატიური ტაცება მაღაზიითგან ხდებოდა ბეჭდის, საკეტის და კარების გაუტეხავად იმ დროს, როცა საშხედრო ყარაულები იყო მიყენებული.

მატყობინებს რა მოხსენებულს, მოავრობის რწმუნებული ლ. ა. ყლენტი საჭიროდ სთვლის:

1) დაუყოვნებლად დათხოვნილ იქნან სამსახურითგან და მიცემულ იქნან სამართალში ფოთის სასურსათო მაღაზიის ზედამხედველი პოდპორუჩიკი ეფრემიძე და მისი თანაშემწე მოხელე მაჭუტაძე, ხოლო მათ მიერ მაღაზიის ახლად დანიშნულის ზედამხედველისთვის ჩაბარების შემდეგ, დამწ-